

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N10

28 მაისი 2021 წ.

დაბა მესტია

„მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„მესტიის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების პროგრამების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2020, სარეგისტრაციო კოდი: 280120000.35.103.016344)

შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის I თავის, I- მუხლს დაემატოს მე-19 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19.“ „ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება/დაფინანსების პროგრამა (პ/კ-06 03)“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის II თავის, 16-მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით „მუხლი 16. ონკოლოგიური ავადმყოფების და ფსიქიკურად დაავადებული პირების დახმარების პროგრამა;

1. ონკოლოგიური ავადმყოფების და ფსიქიკურად დაავადებული პირების ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.

1.2. ონკოლოგიურმა ავადმყოფებმა და ფსიქიკურად დაავადებულმა პირებმა ან მის ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის (და ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სპეციალისტის მიერ სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – ფორმა №100;

დ) საბანკო დაწესებულებაში დახმარების მიმღებ პირზე გახსნილი ანგარიშის რეკვიზიტები

1.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შესაბამის საბანკო ანგარიშზე

2. ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება/დაფინანსების პროგრამა:

2.1. ონკოლოგიურმა ავადმყოფებმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა სამედიცინო მომსახურების/დაფინანსების/თანადაფინანსების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის (და ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სპეციალისტის მიერ სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – ფორმა №100;

დ) შესაბამისი დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი (ინვოისი/კალკულაცია);

ე) საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი (გეგმური სამედიცინო მომსახურებისას) ან ცნობა;

2.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, შესაბამის საბანკო ანგარიშზე

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართის III თავის, მე-20 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს „თ“ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება/დაფინანსების პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიური ავადმყოფების ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების , მათ შორის ქიმიო-თერაპიის, რადიოთერაპიის, მაღალ-ტექნოლოგიური კვლევებისა და სხივური თერაპიით მკურნალობის პროცესში , როდესაც ღირებულება სცილდება ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების ლიმიტს სოციალური დახმარების განაწილების საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მკურნალობის პროცესში, განმეორებით, ეტაპობრივად დაფინანსების/თანადაფინანსების თაობაზე არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა.

ზემოთ აღნიშნული სამედიცინო პროცედურების დაფინანსება/თანადაფინანსება ვრცელდება ასევე იმ კატეგორიის ონკოლოგიურ ავადმყოფებზეც, რომლებიც სამედიცინო სერვისებს (მათ შორის ქიმიო-თერაპიის, რადიოთერაპიის, მაღალ-ტექნოლოგიური კვლევებისა და სხივური თერაპიით მკურნალობა) მიიღებენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, სამედიცინო (საავადმყოფო) დაწესებულების მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ - ფაქტურების შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე. ხოლო საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, დაფინანსება/თანადაფინანსება მოხდება ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მაიზურ ჯაფარიძე